



მეოთხე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 26 აპრილი, 2013 წელი

დრო: 14:00 – 16:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ალექსანდა კალატოზიშვილი - სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი (თანაკოორდინატორი)
2. ნათია აბრამია - ჯანმრთელი სამყარო (თანაკოორდინატორი)
3. ვანო ჩხიკვაძე - ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველო"
4. თამარ ამბუკელი - "თბილისის ჰამქარი"
5. დიანა ყურაშვილი - მეწარმე ქალთა ფონდი
6. ნუკრი ყველაშვილი - ახალგაზრდული ალტერნატივა
7. ლეილა ნაროშვილი - რეპატრიანტთა კავშირი
8. გიორგი შიოშვილი - კავკასიური სახლი - საქართველო
9. მამო ბოჭორიშვილი - პედაგოგთა კავშირი "განათლება და სამყარო"
10. სოფიო ხარაშვილი - კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის

შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე ვორკშოპის ჩატარებასთან დაკავშირებით. ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"-ს წარმომადგენელმა დამსწრეებს მოკლედ გააცნო ის პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნდა ჩატარდეს აღნიშნული ვორკშოპი.

ფონდის წარმომადგენლის თქმით, 2013 წლის თემბერვლიდან დაიწყო აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტის განხორციელება, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და რომელშიც ჩართულია ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო. პროექტის მთავარი აპლიკანტი არის

რეგიონალური გარემოს დაცვის ცენტრი მოლდოვა. მისი ხანგრძლივობა ორწელიწადნახევარია და ითვალისწინებს აქტივობებს როგორც ეროვნულ, ასევე რეგიონალურ დონეზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვსივე ქვეყნის მონაწილეობით.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში მეოთხე სამუშაო ჯგუფზე მოდის ორი აქტივობა. ერთ-ერთი ასეთი აქტივობა არის ვორკშოპი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებზე. ვორკშოპი მიზნად უნდა ისახავდეს პლატფორმის წევრთა შესაძლებლობების განვითარებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში. ფორმატის განსაზღვრა მთლიანად მეოთხე სამუშაო ჯგუფზე არის დამოკიდებული. ვორკშოპში მონაწილეობს მიღება შეუძლიათ პლატფორმის არაწევრ ორგანიზაციებსაც, თუმცა შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭებათ პლატფორმის წევრებს. ფონდის წარმომადგენლის თქმით, სასურველია ვორკშოპი ჩატარდეს მაისის პირველ ნახევარში. გასათვალისწინებელია ის, რომ ვორკშოპისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ძალიან მწირია და შეადგენს მხოლოდ 1500 ევროს. რეგიონული ორგანიზაციების მონაწილეობის შემთხვევაში დაიფარება მათი ტრანსპორტირების ხარჯები.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს ვორკშოპის თემატურ და ტექნიკურ დეტალებზე. კონკრეტული საკითხების განხილვის დაწყებამდე დამსწრეებმა წარმოადგინეს თავიანთი ორგანიზაციები და ისაუბრეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით არსებულ გამოცდილებაზე.

“თბილისის ჰამქარი“ - ს წარმომადგენლის თქმით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ძალიან ფართო თემაა და მოიცავს მატერიალურ, არამატერიალურ და ურბანულ მემკვიდრეობას. ურბანული მემკვიდრეობა ეხება ძირითადად ქალაქს, მასში მოიაზრება ქანდაკებები, ლანდშაპტი, გამწვანება და სხვა. არამატერიალური კულტურაა მაგალითად კულინარია, სიმღერა, ხოლო მატერიალური - ყველაფერი, რაც მოძრავია. სამივე მიმართულებას აქვს თავისებური პრობლემები, როგორც ფინანსური, ასევე საკანონმდებლო, თუმცა ყველა შემთხვევაში ძირითადი პრობლემა არის განათლება. ის ფაქტი, რომ საზოგადოება არ იცნობს თავის კულტურულ მემკვიდრეობას, ქმნის პრობლემებს ყველა მიმართულებით.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ვორკშოპს მიეცეს ტრენინგის სახე, რამდენადაც ჯგუფის წევრთა უმრავლესობა არ მუშაობს კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით და არ აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება. შესაძლებელია ტრენინგი გაიყოს სამ ნაწილად (მატერიალურ, არამატერიალურ და ურბანული) და ძირითადი აქცენტი გაკეთდეს იმ პრობლემებზე, რაც ამ თვალსაზრისით არსებობს. კარგი იქნება ტრენინგებმა მონაწილეებს აუხსნან თუ როგორ ხდება აღნიშნული საკითხების პოპულარიზაცია იმისთვის, რომ შემდეგ დატრენინგებულმა რეგიონალურმა ორგანიზაციებმა შეძლონ თავიანთ რეგიონებში ამ მიმართულების განვითარება. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ვორკშოპში განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლების ჩართვაც. დამსწრეთა აზრით, სასურველია ტრენინგი გადნაწილდეს რამდენიმე დღეზე და არ იყოს მხოლოდ ერთდღიანი.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია